საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2685 2019 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

1. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე და 31-ე მუხლების შესაბამისად და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაზარდოს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობით, ამავე კანონით სხვადასხვა პროგრამული კოდისათვის განსაზღვრული ასიგნებების შემცირების ხარჯზე, კერძოდ:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის გათვალისწინებული ასიგნებები შემცირდეს 3 450 000 (სამი მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები შემცირდეს 1 550 000 (ერთი მილიონ ხუთას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებზე „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს გაცემის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოუყოს 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**